

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №55

ქ. თბილისი

2019 წელი, 26 დეკემბერი, 17:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ბექა დავითულიანი, ვახტანგ შაქარიშვილი, დავით ჭელიძე, დავით უთმელიძე,

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: გოჩა თევდორაძე (03-031936040) გიორგი გაბაშვილი (03-031935724), თევდორე ისაკაძე, ჯაბა ჯიშკარიანი, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი (03-031936061)

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ილია ელოშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

ჯუბა ყანდარელი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

დავით ჩანქსელიანი - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელი

სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები (წარმომადგენელი):

ტარიელ გაბუნია

უჩა ქართველიშვილი

ლევან ხუბაშვილი

ბექა კიკალიშვილი

მარიამ ლომიძე

ნინო ნადარეიშვილი

შოთა საგანელიძე

მარიამ აბაშიძე

გიორგი სამხარაძე

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([საკრებულოს №03-0319344108-03 10.12.2019](#))
2. „შპს „ცერერასთვის“ (ს/ნ 220355835) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ ([საკრებულოს №12-0319359120-03 25.12.2019](#))
3. „შპს „ოპტიმასთვის“ (ს/ნ 405160819) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ ([საკრებულოს №12-0319359120-03 25.12.2019](#))
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე ([საკრებულოს №12-031936059-03 26.12.2019](#))
5. ქალაქი თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.05.007.059 და №01.14.05.007.467) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №12-031935366-03 19.12.2019](#))
6. ქალაქ თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ვაკე-94“-ის ტერიტორიას შორის (ნაკვეთი 05/139) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული, საოფისე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №12-031935365-03 19.12.2019](#))
7. ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, თავდაცვის სამინისტროს IV ბრიგადის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.008.065; №01.17.10.008.066) მრავალფუნქციური კომპლექსის

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №12-031933992-03 05.12.2019](#))

8. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ([საკრებულოს №12-031932947-03 25.11.2019](#); [№12-031933019-03 26.11.2019](#); [№16-031935340-03 19.12.2019](#); [№12-031935381-03 19.12.2019](#); [№12-031935382-03 19.12.2019](#); [№12-031935836-03 24.12.2019](#); [12-0319354134-03 20.12.2019](#))

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([საკრებულოს №12-0319344108-03 10.12.2019](#))

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 1 021 400.6 ათას ლარით, რაც 2019 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, რომელიც შეადგენდა 927 631.5 ათას ლარს, გაზრდილია 93 769.1 ათასი ლარით. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება: – სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–აღდგენა 121 731.1 ათასი ლარი; – ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება 269 356.9 ათასი ლარი; – ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 111 348.1 ათასი ლარი; – ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 7 127.5 ათასი ლარი; – ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება 38 296.3 ათასი ლარი; – ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 151 695.8 ათასი ლარი; – განათლება 168 811.0 ათასი ლარი; – კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 41 835.6 ათასი ლარი; – საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 6 601.2 ათასი ლარი. – ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები 104 597.1 ათასი ლარი. ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება: 2 ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 980 969.9 ათასი ლარის ოდენობით. მათ

შორის: გადასახადები 687 009.5 ათასი ლარი | - დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 482 009.5 ათას ლარს. - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 170 000,0 ათასი ლარი (2019 წლის ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 20 000,0 ათასი ლარით); - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 19 000,0 ათასი ლარი; - მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი. გრანტები 90 963,0 ათასი ლარი | - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 503,0 ათასი ლარი, მათ შორის ევროკავშირის გრანტი - 493,4 ათასი ლარი ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის და როკფელერის ფონდის გრანტი - 9,6 ათასი ლარი 100 მედეგი ქალაქის ინიციატივის პროექტისათვის; - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი; - სპეციალური ტრანსფერი - 90 000,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 202 997,4 ათასი ლარი, მათ შორის: | - შემოსავალი საკუთრებიდან - 8 600,0 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 70 000,0 ათასი ლარი; - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 48 000,0 ათასი ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) 51 000,0 ათასი ლარი; - სხვადასხვა შემოსავლები - 25 397,4 ათასი ლარი. ჯამში სხვა შემოსავლები 2019 წლის თავდაპიველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 12 222,6 ათასი ლარით. 3 ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯები პროექტით განსაზღვრულია 727 165.5 ათას ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 67 237.8 ათასი ლარით. საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 149 692.7 ათასი ლარი, პროცენტი 1 850,2 ათასი ლარი, სუბსიდიები 191 071.4 ათასი ლარი, გრანტები 449,5 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 150 273,9 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 166 590.1 ათასი ლარით, მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და სხვა. არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 236 411.5 ათას ლარს, მათ შორის: - არაფინანსური აქტივების ზრდა - 276 411.5 ათასი ლარი. - არაფინანსური აქტივების კლება - 40 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება ფინანსური აქტივების ცვლილება (430,7) ათასი ლარი; -ფინანსური აქტივების კლება - 430,7 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება 2020 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება (17 823.6) ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 4 2020 წლისათვის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 17 392.9 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქ. თბილისის 2020 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 1 021 400.6 ათას ლარს. 2020 წლის ბიუჯეტით დედაქალაქის პრიორიტეტები განისაზღვრა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება - 121 731.1 ათასი ლარით. პრიორიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-

შეკეთების პროგრამისათვის გათვალისწინებულია 91 872,6 ათასი ლარი, მათ შორის რაიონების გზების მოვლა-შეკეთების ქვეპროგრამებისთვის ჯამში - 43 772,6 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 1167,4 ათასი კვმ გზების კაპიტალური და 535,3 ათასი კვმ გზების მიმდინარე შეკეთება. ტრანსპორტის განვითარების პროგრამა - 29 858,5 ათასი ლარი, მათ შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისათვის - 17 258,5 ათასი ლარი და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციისათვის - 12 600,0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 269 356,9 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში - 95 943,5 ათასი ლარი, გაგრძელდება უკვე დაწყებული პროექტების დაფინანსება, როგორცაა ისტორიულკულტურული ძეგლების, სადარბაზოებისა და მუზეუმების რეაბილიტაცია. გუდიაშვილი, თაბუკაშვილი, ფურცელაძის ქუჩების რეაბილიტაცია, დაიწყება დედაენისა და 9 მარტის ბაღების რეაბილიტაცია, თაბუკაშვილის N46, ლალიძის N2-ის საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია და სხვა. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა ავარიული 5 შენობების გამაგრება 15 000,0 ათას ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სავარაუდოდ 15 შენობის გამაგრება; საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია 45 414,1 ათასი ლარი, მათ შორის სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობარეკონსტრუქცია, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაცია 6 010,0 ათასი ლარი, ხიდებისა და გვირაბების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 24 603,1 ათასი ლარი, საყრდენი კედლების მშენებლობა რეკონსტრუქცია 5 107,7 ათასი ლარი და სხვა. პროგრამა გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია - 22 000,0 ათასი ლარი, რომლიც ფარგლებშიც გათვალისწინებულია ქ. თბილისის მასშტაბით გარე ქსელის განვითარება 2,0 მლნ ლარის ოდენობით. ქვეპროგრამისათვის კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში გათვალისწინებულია 60 539,2 ათასი ლარი, მათ შორის, გლდანის რაიონში 8 369,9 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში 5 708,1 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში 5 850,8 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 4 537,6 ათასი ლარი, ვაკის რაიონში 5 429,7 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში 7 042,7 ათასი ლარი, ისნის რაიონში 5 448,2 ათასი ლარი, სამგორის რაიონში 8 120,7 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში 4 918,7 ათასი ლარი და მთაწმინდის რაიონში 5 112,8 ათასი ლარი. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 111 348,1 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში გამწვანების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 43 056,1 ათასი ლარი, მათ შორის ახალი სკვერების მოწყობარეაბილიტაცია 15 126,3 ათასი ლარი, მცენარეთა შესყიდვა-დარგვა 9 000,0 ათასი ლარი, ეკოსერვისის ფუნქციონირების ხარჯები 10 000,0 ათასი ლარი. დასუფთავების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 62 000,0 ათასი ლარი, მათ შორის სხვადასხვა ზომის ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენა 3 000,0 ათასი ლარი, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე პირველი და მეორე უჯრედის

შეფუთვაკონსერვაციისა და გაზის შეკრების, უტილიზაციისა და ღირებულ პროდუქტად გარდაქმნისათვის საჭირო ღონისძიებებისათვის 8 000,0 ათასი ლარი. თბილისის 6 ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა 6 292,0 ათასი ლარი. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 7 127,5 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება პროგრამა ბიზნესის სტიმულირება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 1561,5 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები 250,0 ათასი ლარი, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში 116,1 ათასი ლარი, მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა 1060,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა 610,0 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია 385,0 ათასი ლარი, ქალაქთშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება 3 145,0 ათასი ლარი. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება 38 296,3 ათასი ლარი, მათ შორის გლდანის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 3 000,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 3 259,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 3 500,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 4 940,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 5 000,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 2 567,3 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 4 030,0 ათასი ლარი. პრიორიტეტი ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარებას, მათ აქტიურ ჩართულობას საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში. ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების ჩატარების მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს ძირითადი მიმართულებების სრულად (100%-ით) დაფინანსებას: სახურავის შესაკეთებელი სამუშაოები (წყალსაწრეტი მილები, ქანობიანი და ბრტყელი სახურავი); ლიფტის შესაკეთებელი სამუშაოები (ლიფტები და სადარბაზოს სენსორული სანათები); წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოები; 4 სართულამდე შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები; საერთო სარგებლობის შიდა 7 ინფრასტრუქტურის სამუშაოები (კიბეები, აივნები, ჭიშკარი, სადარბაზო, სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა, სადარბაზოს კარები, თაღები და სართულშუა ნაპრალების სამუშაოები); პროექტირების სამუშაოები (არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომსახურება) და სხვა ღონისძიებები. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 151 695,8 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 16 722,0 ათასი ლარი, მათ შორის გათვალისწინებულია და გრძელდება „C“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკის, მუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების და ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამები, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, ტრანსპლანტაცია. სოციალური დაცვის პროგრამებისთვის ჯამში გათვალისწინებულია 134 973,8 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში გრძელდება ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, შშმ

პირთა საკურორტო მომსახურების პროგრამა, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, ხელოვნების სკოლებში და სპორტულ დაწესებულებებში, უფასო სასაბუღალტრო მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში. პროგრამა საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი და საბაგიროთი უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურებისათვის. სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების პროგრამა დაგეგმილია 13 527,0 ათასი ლარის ოდენობით, სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში 18 810,6 ათასი ლარი, მათ შორის, გლდანის რაიონში - 2 291,8 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 2 600,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 1 800,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 1 600,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 1 618,8 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 2 200,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 1 200,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 1 500,0 ათასი ლარი. წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში - 1050,0 ათასი 8 ლარი. 2018 წელს გაგრძელდება ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და სხვა. განათლება 168 811,0 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას 144 668,9 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც დღეის მდგომარეობით ფინანსდება 185 საბავშვო ბაღი. 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 15 ბაღის დემონტაჟი და მშენებლობის დაწყება და გაგრძელდება ავარიული ბაღის შენობების გამაგრება. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 41 835,6 ათასი ლარით. 2020 წელს გაგრძელდება მუნიციპალური თეატრების დაფინანსება, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა, სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები, მწრვთვნელთა მხარდაჭერა, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა და სხვა კულტურულ-სპორტული ღონისძიებები. პროგრამა სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ფარგლებში მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების მშენებლობა დიდ დილოში და ვარკეთილში, ასევე ახალი მცირე მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის პროექტირება. ასევე საცურაო აუზის მშენებლობა ლილოში, სპორტული ცენტრი იმედის რეაბილიტაცია, რაგბის მოედნის მშენებლობა და სხვა. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 6 601,2 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამა ცხოველთა მონიტორინგი - 9 3 658,0 ათასი ლარით და პროგრამა თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა - 2943,2 ათასი ლარით. ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები

104 597,1 ათასი ლარით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 2 500,0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის, მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდის სესხის დაფარვა 3 336,3 ათასი ლარი და ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) 15 809.0 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება 528,5 ათასი ლარი, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი განსაზღვრულია 2 000,0 ათასი ლარის ოდენობით. გარდა ამისა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტს ახლავს ინფორმაციული ხასიათის დანართები: დანართი 1 – პროგრამული ბიუჯეტის შესახებ, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ, დანართი 2 - კაპიტალური პროექტების შესახებ, დანართი 3 - ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ, დანართი 4 - სხვა ხარჯების შესახებ, დანართი 5 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესახებ, დანართი 6 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული გენდერული საკითხები 10 2019 წლიდან ქალაქის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახული იქნა გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირება. აღნიშნული პოლიტიკის წარმოებამ ხელი შეუწყო გენდერული საკითხების ინტეგრირებას ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში. შესაბამისად, 2020 წლის ბიუჯეტშიც გამოყენებული იქნა თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების ჩართვას. თბილისის ბიუჯეტის შედგენისას გენდერული ასპექტები გათვალისწინებული იქნა, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის დაგეგმვის ერთ-ერთი კომპონენტი. კერძოდ, გენდერული პოლიტიკა და მიდგომები ასახულია პროგრამის აღწერისა და აქტუალობის დასაბუთების ნაწილში, ხოლო სადაც შესაძლებელი იყო, პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად გამოყოფილი იქნა გენდერული ასპექტის ინდიკატორი. პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები ესენია: გზების მოვლა-შეკეთება; თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ქვეპროგრამები; სპორტის განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის მწვრთნელთა მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება და სხვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით კომისია მიზანშეწონილად თვლის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, წარმომდგენი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი (წერილი №12-0319344108-03.10.12.2019წ) „ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. „შპს „ცერერასთვის“ (ს/ნ 220355835) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ **(საკრებულოს №12-0319359120-03 25.12.20190)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ილია ელოშვილმა.

კომისიამ იმსჯელა, შპს „ცერერასთვის“ (ს/ნ 220355835) მისამართზე - დიდმის მასივი, მარშალგელოვანის 53ა (ს/კ N01.13.04.004.016) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე: შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს ახალი მშენებლობის ნებართვა 2019 წლის 20 მაისის №4506942 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით განსაზღვრული ობიექტისთვის შენობის საერთო ფართობის 3000 კვ.მ-ის დამატებით, რაც ჯამურად შეადგენს შენობის საერთო ფართობს - 24821.9 კვ.მ-ს. საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

3. „შპს „ოპტიმასთვის“ (ს/ნ 405160819) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ **(საკრებულოს №12-0319359120-03 25.12.20190)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ილია ელოშვილმა.

კომისიამ იმსჯელა, შპს „ოპტიმასთვის“ (ს/ნ 405160819) მისამართებზე - ქ. თბილისი, მირცხულავას ქუჩა №9-11 (ს/კ N01.13.04.017.105, N01.13.04.017.106, N01.13.04.017.107, N01.13.04.017.108, N01.13.04.017.109, N01.13.04.017.110), ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა №125ა (ს/კ N01.14.02.025.062) და ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქუჩა №22 (ს/კ N01.12.12.024.206, N01.12.12.024.207, N01.12.12.024.208, N01.12.12.024.209,

N01.12.12.024.210, N01.12.12.024.211, N01.12.12.024.212, N01.12.12.024.213, N01.12.12.024.214, N01.12.12.024.215, N01.12.12.024.216, N01.12.12.024.217, N01.12.12.024.218, N01.12.12.024.219, N01.12.12.024.220, N01.12.12.024.221, N01.12.12.024.222, N01.12.12.024.223, N01.12.12.024.224) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე: ა) მისამართზე - ქ. თბილისი, მირცხულავას ქუჩა №9-11 (ს/კ N01.13.04.017.105, N01.13.04.017.106, N01.13.04.017.107, N01.13.04.017.108, N01.13.04.017.109, N01.13.04.017.110): ა.ა) შეთანხმდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი გრგ -ს დაუმთავრებელ ნაწილზე განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის გადამეტებით, არაუმეტეს კ-2- 7.3-სა (157 894 კვ.მ.); ა.ბ) გაზიარებულ იქნას კომპანია „ოპტიმას“ მიერ განცხადებით (N10/01193522203-01, 23.12.2019) სახანძრო უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთება და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტები და გაიცეს მშენებლობის ნებართვები წარმოდგენილი გეგმებით განსაზღვრული გეგმარების შესაბამისად; ა.გ) დადგინდეს მიჯნის ზონის/შენობა ნაგებობის განთავსების წესის და მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის წესის გამონაკლისი, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ესკიზის/ გეგმარების შესაბამისად; ა.დ) არ გავრცელდეს სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციების მოთხოვნები; ა.ე) შეთანხმდეს ავტოსადგომების რაოდენობის ცვლილება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ესკიზის/გეგმის შესაბამისად; ა.ვ) გათავისუფლდეს გრგ-ს კორექტირებისთვის/ პროექტების შეთანხმების და მშენებლობის ნებართვების აღებისთვის დამტკიცებულ გრგ-ში შემავალი N01.13.04.017.105, N01.13.04.017.106, N01.13.04.017.107, N01.13.04.017.108, N01.13.04.017.109, N01.13.04.017.110, N01.13.04.017.096 და N01.13.04.017.101 მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა/ ყველა დაინტერესებულ პირთა და აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე რეგისტრირებული უფლებების მქონე პირთა თანხმობების მოთხოვნისაგან; ა.ზ) დაინტერესებულმა პირმა გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე არ წარმოადგინოს ფინანსურეკონომიკური დასაბუთება, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა მხედველობაში მიიღოს კომისიის მიერ განხილული და დადებითად შეფასებული ფინანსურ-ეკონომიკურ დასაბუთების დოკუმენტი; ა.თ) დაინტერესებულმა პირმა გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე არ წარმოადგინოს საინჟინრო კომუნიკაციების (წყალმომარაგება, ელექტრო და ბუნებრივი აირი) ოპერატორი კომპანიების შესაბამისი თანხმობა; ბ) მისამართზე - ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა №125ა (ს/კ N01.14.02.025.062): ბ.ა) შეთანხმდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი გრგ-ს დაუმთავრებელ ნაწილზე განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის გადამეტებით, არაუმეტეს კ-2- 5.8-სა (65 591 კვ.მ.); ბ.ბ) გაზიარებულ იქნას კომპანია „ოპტიმას“ მიერ განცხადებით (N10/01193522203-01, 23.12.2019) სახანძრო უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთება და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტები და გაიცეს მშენებლობის ნებართვები წარმოდგენილი გეგმებით

განსაზღვრული გეგმარების შესაბამისად; ბ.გ) დადგინდეს მიჯნის ზონის/შენობა ნაგებობის განთავსების წესის და მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის წესის გამონაკლისი, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ესკიზის/ გეგმარების შესაბამისად; ბ.დ) არ გავრცელდეს სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციების მოთხოვნები; ბ.ე) შეთანხმდეს ავტოსადგომების რაოდენობის ცვლილება, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ესკიზის/გეგმის შესაბამისად; ბ.ვ) გათავისუფლდეს გრგ-ს კორექტირებისთვის/ პროექტების შეთანხმების და მშენებლობის ნებართვების აღებისთვის საკადასტრო კოდზე N01.14.02.025.062 რეგისტრირებულ/სამომავლო მოთხოვნების მქონე/ კერძო და საჯარო სამართლებრივი შეზღუდვების ინიციატორ პირთა და ყველა დაინტერესებულ პირთა თანხმობების მოთხოვნისგან; ბ.ზ) დაინტერესებულმა პირმა გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე არ წარმოადგინოს ფინანსურეკონომიკური დასაბუთება, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა მხედველობაში მიიღოს კომისიის მიერ განხილული და დადებითად შეფასებული ფინანსურ-ეკონომიკურ დასაბუთების დოკუმენტი; ბ.თ) დაინტერესებულმა პირმა გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე არ წარმოადგინოს საინჟინრო კომუნიკაციების (წყალმომარაგება, ელექტრო და ბუნებრივი აირი) ოპერატორი კომპანიების შესაბამისი თანხმობა; გ) მისამართზე - ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქუჩა №22 (ს/კ N01.12.12.024.206, 01.12.12.024.207, 01.12.12.024.208, 01.12.12.024.209, 01.12.12.024.210, 01.12.12.024.211, 01.12.12.024.212, 01.12.12.024.213, 01.12.12.024.214, 01.12.12.024.215, 01.12.12.024.216, 01.12.12.024.217, 01.12.12.024.218, 01.12.12.024.219, 01.12.12.024.220, 01.12.12.024.221, 01.12.12.024.222, 01.12.12.024.223, 01.12.12.024.224); გ.ა) შეთანხმდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი გრგ-ს სრულ არეალზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებით, არაუმეტეს კ-2 – 4.9-სა (105 337 კვ.მ.); გ.ბ) გაზიარებულ იქნას კომპანია „ოპტიმას“ მიერ განცხადებით (N10/01193522203-01, 23.12.2019) სახანძრო უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთება და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტები და გაიცეს მშენებლობის ნებართვები წარმოდგენილი გეგმებით განსაზღვრული გეგმარების შესაბამისად; გ.გ) დადგინდეს მიჯნის ზონის/შენობა ნაგებობის განთავსების წესის და მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის წესის გამონაკლისი, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ესკიზის/ გეგმარების შესაბამისად; გ.დ) არ გავრცელდეს სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციების მოთხოვნები; გ.ე) შეთანხმდეს ავტოსადგომების რაოდენობის ცვლილება, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ესკიზის/გეგმის შესაბამისად; გ.ვ) გათავისუფლდეს გრგ-ს კორექტირებისთვის/ პროექტების შეთანხმების და მშენებლობის ნებართვების აღებისთვის N01.12.12.024.206, N01.12.12.024.207, N01.12.12.024.208, N01.12.12.024.209, N01.12.12.024.210, N01.12.12.024.211, N01.12.12.024.212, N01.12.12.024.213, N01.12.12.024.214, N01.12.12.024.215, N01.12.12.024.216, N01.12.12.024.217, N01.12.12.024.218, N01.12.12.024.219, N01.12.12.024.220, N01.12.12.024.221, N01.12.12.024.222, N01.12.12.024.223,

N01.12.12.024.224 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებულ პირთა და ყველა დაინტერესებულ პირთა თანხმობების მოთხოვნისგან. გ.ზ) დაინტერესებულმა პირმა გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე არ წარმოადგინოს ფინანსურეკონომიკური დასაბუთება, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა მხედველობაში მიიღოს კომისიის მიერ განხილული და დადებითად შეფასებული ფინანსურ-ეკონომიკურ დასაბუთების დოკუმენტი; გ.თ) დაინტერესებულმა პირმა გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე არ წარმოადგინოს საინჟინრო კომუნიკაციების (წყალმომარაგება, ელექტრო და ბუნებრივი აირი) ოპერატორი კომპანიების შესაბამისი თანხმობა. საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე ([საკრებულოს №12-031936059-03 26.12.2019](#))

საკითხი წარმოადგინა შ.პ.ს. „თბილსრვის ჯგუფის“ წარმომადგენელმა დავით ჩანქსელიანმა. მისი თქმით, თანხმობა მიეცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებისა და მისი გაუვნებლობის მომსახურების ორგანიზება, განახორციელოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირის შპს „თბილსერვის ჯგუფის“ (ს/კ 206267494) მეშვეობით, შემდეგი სამუშაოების მოცულობით: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქუჩების, მოედნების, შიდა კვარტალური ტერიტორიების, სკვერებისა და პარკების დაგვა-დასუფთავება, მოსახლეობის, ორგანიზაციების, დაწესებულებების, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირების მიერ წარმოქმნილი მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირება, ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსება და გაუვნებლობა, ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მართვა, თოვლცვენის დროს ქუჩებსა და მოედნებზე მარილის მოყრა, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად; ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების ორგანიზება, მონაცემთა ბაზების დროული განახლება, მომხმარებელთა გადამხდელად დარეგისტრირება, არსებულ დარიცხვაში კორექტირების შეტანა, დარიცხვის შეწყვეტა, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის

შემოდების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა მიმართვის შემთხვევაში, მოსაკრებლის გადამხდელთათვის დარიცხული მოსაკრებლის კორექტირება და ასახვა მონაცემთა ბაზაში; „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიების დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოდების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17- 46 დადგენილების ამოქმედების დღიდან, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის დავალიანების გადახდის განწილვადება, ამავე დადგენილებით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის“ მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი პირობებით; დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ინდივიდუალურ მეწარმეებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ქ. თბილისის მოსახლეობისთვის დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასური) დავალიანების განწილვადება, არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრისა; დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასური) დავალიანების თანხაში დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადასახდელი ტარიფის (საფასური) უზუსტობის შემთხვევაში, დაზუსტებული ოდენობის განსაზღვრა დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასური) დავალიანების ჩარიცხვა განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილსერვის ჯგუფის“ (ს/კ 206267494) ანგარიშზე.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

5. ქალაქი თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.05.007.059 და №01.14.05.007.467) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე **(საკრებულოს №12-031935366-03 19.12.2019)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა ჯუბა ყანდარელმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქუჩა N3-ში (ნაკვ.07/059), (ნაკვ.07/049) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.007.059 (8520კვ.მ); N01.14.05.007.467 (834კვ.მ)), ა. პოლიტკოვსკაიას და სანდრო ეულისა ქუჩების მიმდებარედ. ნაკვეთის ფართობი: 9354 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიას სამხრეთიდან ესაზღვრება ა.პოლიტკოვსკაიას ქუჩა, საიდანაც არის ძირითადი შესასვლელი, დანარჩენ სამ მხარეს სამეზობლო მიწის ნაკვეთებია, აღმოსავლეთით და დასავლეთით კი ადმინისტრაციული დანიშნულების შენობები, ჩრდილოეთით -მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ასევე, ერთი შესასვლელი არის სანდრო ეულის ქუჩიდან, რომელიც საპროექტო ტერიტორიას უკავშირდება მეზობელ მიწის ნაკვეთზე არსებული სერვიტუტის საშუალებით. დღეისათვის ტერიტორიაზე მდებარეობს საწორმოო დანიშნულების ობიექტი, რომლის ნაცვლადაც იგეგმება მრავალფუნქციური დანიშნულების შენობის აშენება. ამასთან, ტერიტორიაზე ფიქსირდება არქეოლოგიური უბნის საზღვარი, ვინაიდან საპროექტო ობიექტი არსებულის ადგილას უნდა აშენდეს, საჭიროების შემთხვევაში არქეოლოგიური დეტალური შეფასება ჩატარდება უშუალოდ მშენებლობის წარმოების დაწყებისას, დღეისათვის კი მომზადებულია შეფასება დასკვნის სახით. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). აღნიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, სანდრო ეულის ქ. N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N01.14.05.007.467; N01.14.05.007.059) საოფისე შენობის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 მარტის N72 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომელიც მოქალაქის მოთხოვნის შესაბამისად, უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 28 ნოემბრის N61-01193323127 წერილის თანახმად, სამსახურმა იმსჯელა ვენერა ალიშევას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: NN1.14.05.007.059, 01.14.05.007.467) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (არსებული კ-2=3.5) გაზრდის და კ-2=4.2 კოეფიციენტად განსაზღვრის საკითხთან და ასევე, ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. #13-ში მდებარე 259 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.16.004.253) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. აღნიშნული ნაკვეთები, ვენერა ალიშევას საკუთრებაში გადაეცა მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში გაცვლის შედეგად. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ვინაიდან მის მიერ დაგეგმილი კ-2-ის მომატების შემთხვევაში, მისი ნაკვეთების ფასი იზრდება, იგი მზადაა, ფასნამატის და კომპენსაციის სახით თბილისის მუნიციპალიტეტს გადასცეს ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. #13-ში მდებარე 259 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.10.16.004.253).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოცემულია „ქ.თბილისში, თამარაშვილის ქუჩა N13-ში მდებარე 259 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.16.004.253) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 16 ოქტომბრის N19.1096.1398 განკარგულება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მე-2 მუხლის მიხედვით, წერილობითი დასტურის/მშენებლობის ნებართვის გაცემის რომელიმე სტადიის ან/და ტერიტორიული- სტრუქტურული დოკუმენტების დამუშავების ან/და მათში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინამდებარე დადგენილების ამოქმედებამდე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების წარდგენის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ამავე კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. განცხადების შემოტანის დროს მოქმედი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა დაუშვებელია, გარდა ამ მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა შესაძლებელია, თუ ცვლილება წონასწორდება ან კომპენსირდება იმგვარი ზომებით, რომელთა გატარება უზრუნველყოფს ჯანსაღი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების მოთხოვნების შელახვისა და გარემოზე არახელსაყრელი ზემოქმედების თავიდან აცილებას, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მიხედვით, პროექტის განვითარება მოხდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) ფარგლებში, სადაც მოთხოვნილია შემდეგი პარამეტრები: კ-1 -0.5; კ-2 -4,2; კ-3 - 0.3. პროექტი ითვალისწინებს მრავალბინიან კომპლექსს, რომელიც მოიცავს საცხოვრებელ, საოფისე და კომერციულ სივრცეებს. შენობის განთავსება გათვალისწინებულია ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში, შენობის გარშემო დაგეგმარებულია სავალი საავტომობილო და საფეხმავლო ნაწილით, არსებული სერვიტუტების დაცვით. წინასწარი მონაცემებით გათვალისწინებულია 20 სართულიანი ორი ბლოკის დაგეგმარება და პარეიმეტრზე 8-9 სართულიანი შენობის მოშენება. 2 დახურული ავტოსადგომის სართულით და ასევე, რამოდენიმე ღია საპარკინგე ადგილით (დახურული პარკინგების შიდა გეგმარება და ღია ავტოსადგომების განთავსება შესაძლებელია მცირედით შეიცვლოს არქიტექტურული ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე). საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია დადგენილი პარამეტრების გადამეტება 20%-ის ფარგლებში, ნაცვლად დადგენილი კ-2=3,5-ისა, საპროექტო შენობის განვითარება დაგეგმილია კ-

2=4,2-ის ფარგლებში. შენობის სიმაღლის ანგარიში და ღიობების მოწყობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 13 დეკემბრის N01193472683 წერილის შესაბამისად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა NN01.14.05.007.059 და 01.14.05.007.467 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 10 დეკემბრის N01193443649 წერილის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მოსაწესრიგებელია საფეხმავლო ინფრასტრუქტურა. საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, მიმდებარე კვანძებზე ზოგიერთი მიმართულება მცირედ გადატვირთულია. საპროექტო ტერიტორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია. შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, სანდრო ეულის ქ. N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N01.14.05.007.467; N01.14.05.007.059) საოფისე შენობის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 მარტის N72 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადება და განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შეთანხმება, მატების 10% ბინების მერიისთვის გადმოცემის პირობით, დასაშვებია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის „ ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქუჩა N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.007.059 და N01.14.05.007.467) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული 2019 წლის 19 მარტს N01190783703-67 (NN0119255963-67; 01193181259-67; 01193463003-67) განაცხადის შესაბამისად, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

6. ქალაქ თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ვაკე-94“-ის ტერიტორიას შორის (ნაკვეთი 05/139) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული, საოფისე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №12-031935365-03 19.12.2019](#))

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა ჯუბა ყანდარელმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ზ. ავალიშვილის ქუჩის და რაგბის მოედნის მიმდებარედ. ტერიტორიას აღმოსავლეთით ესაზღვრება ზ. ავალიშვილის ქუჩა და სპორტული კომპლექსი. სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს მრავალბინიანი განაშენიანება. ჩრდილოეთით - მდინარე ვერე და ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი. საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი: 12 060 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.14.14.005.197 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). „ქალაქ თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ვაკე-94“-ის ტერიტორიას შორის, (ნაკვეთი 05/139) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 ივლისის N219 განკარგულებით დამტკიცდა ქალაქ თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ვაკე-94“-ის ტერიტორიას შორის (ნაკვეთი 05/139), მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ამასთან, იმავე განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2013 წლის 15 მაისის N906 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის თანახმადაც, კ-2=4.6. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მე-2 მუხლის მიხედვით, წერილობითი დასტურის/მშენებლობის ნებართვის გაცემის რომელიმე სტადიის ან/და ტერიტორიული- სტრუქტურული დოკუმენტების დამუშავებისა ან/და მათში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინამდებარე დადგენილების ამოქმედებამდე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების წარდგენის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ამავე კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საპროექტო ზონირების შესაბამისად, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). საპროექტო განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1= 0.5; კ-2= 3.5; (42 078 კვ.მ.) აქედან, საცხოვრებელი ფართობი 31 559 კვ.მ -75%; კ-3= 0.3; მაქსიმალური სართულიანობა - 3- 14 სართული, მაქსიმუმ 50 მეტრი. პროექტი წარმოადგენს მრავალბინიან კომპლექსს, რომელიც მოიცავს საცხოვრებელ, საოფისე და კომერციულ სივრცეებს. დომინანტ მოცულობას წარმოადგენს სამი საცხოვრებელი ბლოკი, რომლებიც ერთგვარ პედესტალზე არის განლაგებული. პედესტალი შედგება სამი სართულისაგან და ძირითადად დატვირთულია საზოგადოებრივი ფუნქციით. ხოლო მისი სახურავი წარმოადგენს საცხოვრებელი ბლოკების ღია, პრივატულ, სარეკრეაციო სივრცეს. ტერიტორიაზე ასევე განთავსდება საოფისე შენობა და ავტოსადგომების

მრავალდონიანი ნაგებობა, დამოუკიდებელი ორი ალტერნატიული შესვლა - გამოსვლით. გაბარიტულად ყველაზე მაღალი მოცულობა წარმოადგენს 14-ს, ხოლო ყველაზე დაბალი კი 3 სართულიანია. „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 9 ივნისის N29 ოქმის საფუძველზე „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ჭავჭავაძის I ჩიხის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.14.005.236; N01.14.14.005.233; N01.14.14.005.232) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ გაცემული თანხმობის ბათილად ცნობის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 3 დეკემბრის N19.1258.1605 განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ჭავჭავაძის I ჩიხის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.14.005.236; N01.14.14.005.233; N01.14.14.005.232) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ გაცემული თანხმობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 10 დეკემბრის N011934492 მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საფეხმავლო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, მიმდებარე კვანძებზე მიმართულებები გადატვირთული არ არის. შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 12 დეკემბრის N01193463093 წერილის შესაბამისად, სამსახური თანახმაა დამტკიცდეს მულტიფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ვაკე-94“-ის ტერიტორიას შორის (ნაკვეთი 05/139) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია. კომისიის სხდომაზე გამოითქვა შენიშვნა, მასზე, რომ მშენებლობის დამკვეთმა კომპანიამ გაამწვანოს გრგ-ს არეალის გარეთ არსებული თავისუფალი ტერიტორია.

პროექტს საოქმოდ უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა ვახტანგ შაქარიშვილმა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის „ქალაქ თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ვაკე-94“-ის ტერიტორიას შორის (ნაკვეთი 05/139) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული, საოფისე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის“ დამტკიცების საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული 2019 წლის 30 სექტემბრის N01192733895-67 (NN01193083698-67; 01193313270-67; 01193432922-67) განაცხადის შესაბამისად, კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად

7. ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, თავდაცვის სამინისტროს IV ბრიგადის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.008.065; N01.17.10.008.066) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №12-031933992-03 05.12.2019](#))

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა ჯუბა ყანდარელმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, თავდაცვის სამინისტროს IV ბრიგადის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.008.065; N01.17.10.008.066). ნაკვეთების საერთო ფართობი: 99222 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). აგრეთვე, გამწვანებული ტერიტორიების რუკის შესაბამისად, N01.17.10.008.065 და N01.17.10.008.066 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების არეალი. საპროექტო ზონირების მიხედვით, ტერიტორიაზე ვრცელდება: საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტო მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2=4.6; კ-2=2.5; მაქსიმალური სართულიანობა: საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6) - 12 -15 სართული; საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) - 26 სართული. საპროექტო მოცულობის ჯამური ფართობი: 289 000 მ². ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: ·დასაგეგმარებელი ტერიტორიის ფართობი: 99 222 მ². ·საცხოვრებელი შენობის ფართობი: 249 160 მ². ·საცხოვრებელი ბინების რაოდენობა დაახლოებით: 2843 ერთეული. · საოფისე ფართობი დაახლოებით: 17 890 მ². · კომერციული ფართობი დაახლოებით: 12 717 მ². ·სკოლა (300 მოსწავლეზე)- ფართობი: 6 224 მ². ·ბაღი (100 ბავშვზე)- ფართობი: 2 717 მ². ·ავტოსადგომების რაოდენობა: 1644 ერთეული. ·მწვანე საფარი დაახლოებით: 28 304 მ². მთლიანი ტერიტორიისთვის საშუალო მაჩვენებლები: ·მოშენების ფართობი (კ-1) - დაახლოებით 29 766 მ² (0,3) ·განაშენიანების ინტენსივობის ფართობი (კ-2) - დაახლოებით 289 000 მ² (2,9) ·გამწვანებული ტერიტორიის ფართობი (კ-3) - მინიმუმ 19

844 მ2 (0.2) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 9 ივლისის N01191902166 (N011924869) წერილისშესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ არის სათანადოდ მომსახურებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით. M2 და M3 კატეგორიის საზოგადოებრივ ტრანსპორტს დღეისათვის აქვს მცირე რეზერვი, თუმცა პროექტის განხორციელების შემთხვევაში დამატებული სავარაუდო მგზავრობების რიცხვი დაახლოებით ორჯერ აღემატება არსებულ რეზერვს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორია არ მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). აღნიშნულ ტერიტორიას მოემსახურება მხოლოდ მეორადი და შემკრები ქსელი, რაც არ არის საკმარისი აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მოსაწესრიგებელია საფეხმავლო ინფრასტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ საფეხმავლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. გარდა ამისა, მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილი განაშენიანება გააუმჯობესებს საფეხმავლო მანძილზე სხვადასხვა ფუნქციებზე წვდომას.ამასთან, გასათვალისწინებელია მიტროფანე ლალიძის ქუჩის გაორმხრივების აუცილებლობა, რაც შესაძლებელი იქნება საპროექტო ტერიტორიის გავლით შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოსადგომზე სამინისტროს თანამშრომლებისთვის ავტონომიური შესასვლელის მოწყობის გზით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიზანშეწონილად არ მიიჩნევს საპროექტო ტერიტორიის აღნიშნული ინტენსივობით განვითარებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 21 ნოემბრის N01193252521 წერილის შესაბამისად, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების 21-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავების გადარგვას უნდა მიენიჭოს უპირატესობა მწვანე ნარგავების მოჭრასთან მიმართებით, შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე, მოჭრის ნაცვლად განხილულ უნდა იქნას აღნიშნული მწვანე ნარგავების გადარგვის ალტერნატივა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, თავდაცვის სამინისტროს IV ბრიგადის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.008.065; N01.17.10.008.066) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის“ დამტკიცების საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული 2019 წლის 3 აპრილს N

01190934505-67 (N01192382421-67) განაცხადის შესაბამისად, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

8. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-031932947-03 25.11.2019; №12-031933019-03 26.11.2019; №16-031935340-03 19.12.2019; №12-031935381-03 19.12.2019; №12-031935382-03 19.12.2019; №12-031935836-03 24.12.2019; 12-0319354134-03 20.12.2019)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-031932947-03 25.11.2019; №12-031933019-03 26.11.2019; №16-031935340-03 19.12.2019; №12-031935381-03 19.12.2019; №12-031935382-03 19.12.2019; №12-031935836-03 24.12.2019; 12-0319354134-03 20.12.2019) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა ჯუბა ყანდარელმა. მისი თქმით, წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის ტექსტურ ნაწილში, გრაფიკულ ნაწილში-რუკაში (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 16 წინადადება კერძოდ:

№12-031932947-03 25.11.2019

ა) ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.012.930) მიმდებარედ მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საზოგადოებრივსაქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2)ცვლილება. საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული გრაფიკული რუკის მიხედვით, ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). ასევე, წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელზეც მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული - სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება არ ფიქსირდება მწვანე ნარგავები. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა ფუნქციური ზონის ცვლილებაზე, რასაც ადასტურებს 2019 წლის 7 ნოემბრის N01193112334 წერილით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:

N01.72.14.012.930) მიმდებარედ სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღება.

ბ) ქალაქ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა N22ა / ფანჯიკიძის (ყოფილი ბუდაპეშტი) N22 – ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილია (საკადასტრო კოდი: N01.10.14.007.053) საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) ცვლილება სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1). აღნიშნულ საკადასტრო ერთეულის მცირე ნაწილზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ასევე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). მითითებულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებულია სამედიცინო ცენტრი - საავადმყოფოების კომპლექსი, რაც ფუნქციურად პირდაპირ ექვემდებარება სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ -1) მოთხოვნებს. გარდა ამისა, 2011 წლის 12 იანვრამდე აღნიშნული მიწის ნაკვეთზე (იმ დროისათვის საკადასტრო კოდით: N01.10.14.007.034) ვრცელდებოდა სპეციალური ზონა და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), ხოლო ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2011 წლის 12 იანვრის N1 სხდომის ოქმის საფუძველზე, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე მრავალბიანიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, შეიცვალა საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა N22ა / ფანჯიკიძის (ყოფილი ბუდაპეშტი) N22 –ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.14.007.053) საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღება.

№12-031933019-03 26.11.2019;

ა) ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.088, ნაკვეთი 01/088) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.088) საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის 2014 წლის 5 ივნისის N1397 განკარგულება ადგენს ფუნქციური ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.088, ნაკვეთი 01/088) ფუნქციური ზონის ცვლილება მისაღება (ცვლილების ფართობი: 55 კვ.მ). ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და სატყეო ზონა (ფართობი: 44 306 კვ.მ);

ბ) ქალაქ თბილისში, საბანაკოს დასახლება, ქუჩა I, N14ა-ში მდებარე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.036.046) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება; დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს

მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება, არსებული ხარვეზის გასწორება. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური თანახმაა ფუნქციური ზონის ცვლილებაზე, რასაც ადასტურებს 2019 წლის 11 ნოემბრის N01193152153 წერილით. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება, არსებული მდგომარეობის ასახვა და შესაბამისობაში მოყვანა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ზონის ცვლილებამ მოიცვა აგრეთვე N01.17.08.036.046 საკადასტრო ერთეულის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.036.084) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გუქმებაც საცხოვრებელი ზონის გავრცელების ხარჯზე, ვინაიდან აღნიშნულიც წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე თანდართული რუკის ხარვეზს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, საბანაკოს დასახლებაში მდებარე N01.17.08.036.046 და N01.17.08.036.084 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია (ცვლილების ფართობი: 175 კვ.მ);

საქმე N12-031935836-03. 24.12.2019წ. გათვალისწინებით, აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 20 ნოემბრის N19.1211.1559 განკარგულებით მოწონებულ იქნა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი: 2019 წლის 10 ოქტომბრის N0119283532-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, საბანაკოს დასახლება, ქუჩა I, N14ა-ში მდებარე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.036.046) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება; ასევე, N01.17.08.036.084 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 175 კვ.მ).

აღნიშნული განკარგულებით მოწონებული ფუნქციური ზონის ცვლილება, კერძოდ N01.17.08.036.084 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება გამოიწვევს მომიჯნავედ მდებარე საკადასტრო ერთეულებისთვის მისასვლელი გზის შეზღუდვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია N01.17.08.036.084 საკადასტრო ერთეულზე შენარჩუნებულ იქნას სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)

გ) ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.13.154) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის

გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება, არსებული ხარვეზის გასწორება. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური თანახმაა ფუნქციური ზონის ცვლილებაზე, რასაც ადასტურებს 2019 წლის 11 ნოემბრის N01193152188 წერილით. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება, არსებული მდგომარეობის ასახვა და შესაბამისობაში მოყვანა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ზონის ცვლილებამ მოიცვა აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სივრცის ნაწილიც გზის ლოგიკური კონტურის შეკვრის მიზნით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.13.154) ნაწილზე და მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სივრცის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია (ცვლილების ფართობი: 13 კვ.მ).

№16-031935340-03 19.12.2019

ა) ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.007.008; N01.10.18.007.009; N01.10.18.007.010; N01.10.18.006.250; N01.10.18.006.203; N01.10.18.006.204) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის N23 განკარგულება ადგენს ფუნქციური ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. შესაბამისად, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.007.008; N01.10.18.007.009; N01.10.18.007.010; N01.10.18.006.250; N01.10.18.006.203; N01.10.18.006.204) ფუნქციური ზონის ცვლილება მისაღებია (ცვლილების ფართობი: 18 8051 კვ.მ); ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც;

ბ) ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.141) ნაწილზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლებაში, IV მიკრორაიონში, N2 კორპუსის

მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.053; N01.10.07.007.052; N01.10.07.007.051; N01.10.07.007.050) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N296 განკარგულება ადგენს ფუნქციური ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდი დიღომის დასახლებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.141) ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია. აგრეთვე, უნდა განხორციელდეს N01.10.07.007.141 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე სატრანსპორტო ზონის ცვლილების შედეგად მომიჯნავე საკადასტრო ერთეულის (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.138) მცირე ნაწილზე დარჩენილი სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილებაც, რომელიც ფაქტობრივი მდგომარეობით წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის ტექნიკურ ხარვეზს და გადადის შენობაზე (ცვლილების საერთო ფართობი: 839კვ.მ);

გ) ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, ალექსანდრე ჩხეიძის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (N81.01.05.740 საკადასტრო ერთეულის მომიჯნავედ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის ხარვეზს. სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც ფაქტობრივი მდგომარეობით არ წარმოადგენს გზას. 2019 წლის 27 ნოემბრის N01193311484 წერილით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში თუკი, არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) შეიცვლება მხოლოდ მითითებული საკადასტრო ერთეულის (საკადასტრო კოდი: N81.01.16.036) გადაკვეთის არეალში (N81.01.05.740 საკადასტრო ერთეულის მომიჯნავედ). აღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, ალექსანდრე ჩხეიძის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (N81.01.05.740 საკადასტრო ერთეულის მომიჯნავედ) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია. აგრეთვე გზის ლოგიკური კონტურის შეკვრის მიზნით საჭირო გახდა N81.01.05.754 და N81.01.05.749 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება, ვინაიდან სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) შეჭრილი იყო კერძო საკუთრებაში და არ წარმოადგენდა გზის ფუნქციას, ასევე, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1)

ცვლილება. აღნიშნული ცვლილებით მოხდა ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივ მდგომარეობაზე მორგება. (ცვლილების საერთო ფართობი: 376 კვ.მ);

დ) ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.011.003) მოთხოვნილია სატყეო ზონის სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილება. აღნიშნულთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2019 წლის 2 ოქტომბერს N01192752715 წერილით აფიქსირებს პოზიციას, რომ სამსახური არ არის წინააღმდეგი სასაფლაოს მოწყობის მიზნით განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, სატყეო ზონის სპეცზ-2-ით ცვლილება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.011.003) სატყეო ზონის სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილება მისაღებია. (ცვლილების ფართობი: 5 017კვ.მ). ცვლილებას ექვემდებარება ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით შემოთავაზებული სატყეო ზონაც;

ე) ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.12.10.002.012; N01.12.10.002.016) მოთხოვნილია სატყეო ზონის სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილება. აღნიშნულ ტერიტორიაზე ფაქტობრივი მდგომარეობით ფიქსირდება სასაფლაოები. შესაბამისად სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილების შემთხვევაში მოხდება შესაბამისი ფუნქციური ზონით დაფიქსირება. აღნიშნულთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2019 წლის 28 ნოემბრის N01193322709 წერილით აფიქსირებს პოზიციას, რომ ახლად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, სამსახური თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.12.10.002.012; N01.12.10.002.016) სატყეო ზონის სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილება მისაღებია. (ცვლილების საერთო ფართობი: 39396კვ.მ). ცვლილებას ექვემდებარება ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით შემოთავაზებული სატყეო ზონაც.

ვ) ქალაქ თბილისში, სტეფანე ჭრელაშვილის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.13.051.013) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონის (სზ) საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღებამდე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებული განაშენიანებისა და იმის გათვალისწინებით, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105

დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ვრცელდებოდა საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) ქალაქ თბილისში, სტეფანე ჭრელაშვილის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.13.051.013) ნაწილზე საცხოვრებელი ზონის (სზ) საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებად. ასევე, ვინაიდან, მოთხოვნილი ზონის ცვლილების შედეგად N01.17.13.051.013 საკადასტრო ერთეულსა და სატრანსპორტო ზონას შორის დაურეგისტრირებელი ტერიტორიის მცირედ ნაწილზე ხარვეზის სახით რჩება საცხოვრებელი ზონა (სზ) მიზანშეწონილია აღნიშნული ხარვეზის გასწორება და საცხოვრებელი ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება (ცვლილების საერთო ფართობი: 2 465 კვ.მ).

№12-031935381-03 19.12.2019;

ა) 2019 წლის 4 იანვრის N19/01190042023-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, დასახლება ლისის ტბა, N14, მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.17.008.016) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით ცვლილება. ვინაიდან, მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) მიზანშეწონილია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) შეიცვალოს საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3). ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება ხორციელდება მიმდებარე ტერიტორიაზეც. ცვლილებას ექვემდებარება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2- იც (რზ-2) (ცვლილების საერთო ფართობი: 1 198 კვ.მ.);

ბ) 2019 წლის 8 აპრილის N19/0119098536-67 განცხადებით მოთხოვნილია, ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.13.33.019 და მიმდებარედ) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-იც (რზ-2) (ცვლილების საერთო ფართობი: 66 721 კვ.მ);

გ) 2019 წლის 31 ივლისის N19/01192121688-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო - საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.008.940) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება ხორციელდება მიმდებარე ტერიტორიაზეც. ცვლილებას ექვემდებარება ასევე, გამწვანებული ტერიტორიების

რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-იც (რზ-2) (ცვლილების ფართობი: 7 808 კვ.მ).

აღსანიშნავია, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე გენერალური გეგმით განსაზღვრულ ძირითად ზონირებასთან ერთად გავრცელდა გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ზონირებაც. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების დანართი N2-ის შესაბამისად, თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა ერთვის თბილისის მიწათსარგებლობის ძირითად ნახაზს დანართი №1.8-ის სახით და წარმოადგენს თბილისის დაგეგმარების გამწვანებული ტერიტორიების რუკას. მასზე დატანილია მონაცემები თბილისის ტერიტორიაზე არსებული და დაგეგმილი შემდეგი მწვანე ან/და სარეკრეაციო ზონებისა და არეალების შესახებ: ა) სარეკრეაციო ზონა'; ბ) სარეკრეაციო ზონა 1; გ) სარეკრეაციო ზონა 2; დ) სარეკრეაციო ზონა 3; ე) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა'; ვ) სატყეო ზონა'; ზ) სხვა შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალები. თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე დატანილი ზონები და ქვეზონები ატარებს ოპერატიულ ინფორმაციას თბილისში არსებული და დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და მისი გათვალისწინება სავალდებულოა სამშენებლო და გეგმარებითი ნებართვების გაცემის პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკრეტული მიწის ნაკეთის სამშენებლოდ განვითარების საკითხის განხილვისას, როდესაც მიწის ნაკვეთზე ძირითადი რუკით განსაზღვრულ ზონირებასთან ერთად ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ზონირებაც, უპირატესობა ენიჭება გამწვანებული ტერიტორიების რუკას. თუმცა, რიგ შემთხვევებში, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ზონირება არ ასახავს ზუსტ ინფორმაციას არსებული და დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და ზღუდავს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებას შესაძლებლობას. შესაბამისად, მიზანშეწონილია ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე შეიცვალოს გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ზონირება და გავრცელდეს ძირითადი რუკით განსაზღვრული ფუნქციური ზონები. სარეკრეაციო/სატყეო ზონების ცვლილების თაობაზე წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2019 წლის 8 ოქტომბრისა და 9 ოქტომბრის N18-01192812540 და N18-0119282501 წერილებით დაფიქსირდა დადებითი პოზიცია. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, ფუნქციური ზონების ცვლილების/დაზუსტების მიზნით

მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე დაინტერესებული პირის განცხადებას უნდა დაერთოს განაშენიანების რეგულირების წესების მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წინასაპროექტო კვლევა ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პერიმეტრზე. ვინაიდან, წინამდებარე განკარგულებაში მითითებულ მიწის ნაკვეთებზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო/სატყეო ზონები წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს, ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხის განხილვა, ტექნიკური ხარვეზის გასწორება და არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა არ საჭიროებს ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული კვლევის ჩატარებას.

№12-031935382-03 19.12.2019;

ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N113, თ. ერისთავის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.003.094, N01.12.12.003.093) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თ. ერისთავის ქ. N8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.003.079) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N435 განკარგულება ადგენს ფუნქციური ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. შესაბამისად, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N113, თ. ერისთავის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.003.094, N01.12.12.003.093) ფუნქციური ზონის ცვლილება მისაღებია. ვინაიდან N01.12.12.003.094 და N01.12.12.003.093 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაზე დარჩება ხარვეზი N01.12.12.003.129 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სახით, მიზანშეწონილია აღნიშნული ხარვეზის გასწორება და N01.12.12.003.129 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება(ცვლილების საერთო ფართობი: 6 546 კვ.მ). წარმოდგენილი ცვლილებების მიღების შესაბამისად განხორციელდება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე-რუკაზე არსებული ფუნქციური ზონის ცვლილება 1 ერთეულ შემთხვევაში.

№12-0319354134-03 20.12.2019

ქალაქ თბილისში, ბაშბის რიგის ქუჩა N8-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.061.054) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული


ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის ცვლილება და ძირითადი რუკით განსაზღვრული საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) გავრცელება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2019 წლის 25 ოქტომბრის N18-01192983441 თანახმაა შევიდეს ცვლილება თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაში და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენა (სარეკრეაციო ზონა (რზ-1) N01.18.03.061.054 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 18 დეკემბრის N18- 01193532752 წერილის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, ვინაიდან, მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზე არ ფიქსირდება მწვანე ნარგავები გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება და ძირითადი რუკით განსაზღვრული საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) გავრცელება ხორციელდება მიმდებარედ არსებული საკადასტრო ერთეულების (საკადასტრო კოდი: N01.18.03.061.014; N01.18.03.061.003; N01.18.03.046.027) ნაწილზე და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზეც (ცვლილების საერთო ფართობი: 392 კვ.მ). საქმე N12-031935836-03. 24.12.2019წ. გათვალისწინებით აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 19 დეკემბრის N19.1363.1717 განკარგულებით მოწონებულ იქნა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი: 2019 წლის 2 ოქტომბრის N17-0119275191-67 (დამატებით: N17-01193383695-67) მომართვა - ქალაქ თბილისში, ბამბის რიგის ქუჩა N8-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.061.054) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის ცვლილება და ძირითადი რუკით განსაზღვრული საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) გავრცელება. ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება და ძირითადი რუკით განსაზღვრული საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) გავრცელება N01.18.03.061.014, N01.18.03.061.003, N01.18.03.046.027 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზეც (ცვლილების საერთო ფართობი: 392 კვ.მ). აღნიშნულ განკარგულებაში დაფიქსირდა ფუნქციური ზონის შევსებისას დაშვებული ხარვეზი და საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 2-თან (სსზ-2) ერთად არ მიეთითა სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). მიზანშეწონილია გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური შეცდომა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

წ. სოხაძე

რევაზ სოხაძე